ოქმი:**ო63. 6324163001**
თარიღი:**11/06/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N4

ქ.სამტრედია 29 მაისი. 2024 წელი.

მიმდინარე წლის 29 მაისს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი, ლიზა კრავეიშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, ნათია პაპავა, ბექა თევზაძე, გოჩა არველაძე, ირაკლი მელაშვილი, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე, გიორგი გაგუა.

დღის წესრიგი:

1. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (17 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (17 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, ფრაქციის წევრებს გააცნო საკითხი, რომელიც ეხებოდა 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სხვადასხვა ღონისძიებებს.

ტარიელ დვალიშვილი - მოგახსენებთ, რომ 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის

დღე, საზეიმო ღონისძიებებით აღინიშნება.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ქალაქის რამდენიმე ლოკაციაზე მიმდინარეობდა.

წელს სამტრედიაში პირველად მოეწყო სამხედრო ტექნიკის გამოფენა. რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დამთვალიერებელთა დიდი ნაკადი სწორედ ამ ლოკაციაზე შეინიშნებოდა.

მუნიციპალიტეტში არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი გაიმართა რკინიგზის სადგურის მიმდებარე სკვერში.

საზოგადოებას ჰქონდა შესაძლებლობა ადგილობრივი მხატვრებისა და მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეების თემატური ნამუშევრები დაეთვალიერებინა.

დამოუკიდებლობის დღეს არც ქართული ჭიდაობის გარეშე ჩაუვლია. საჭიდაო დარბაზში ფალავნების ბრძოლა გაიმართა.

დიდი ინტერესი მოჰყვა ოთხ დისტანციაზე ილორში არსებულ იპოდრომზე გამართულ ძველ ქართულ საცხენოსნო სანახაობებს. მაყურებელმა იხილა ეროვნული სახეობები ისინდის, ცხენბურთის, დოღისა და ყაბახის. ცხენოსნობის სახვადასხვა სახეობებში საპრიზო ადგილებსა და ნომინაციებზე გასულები სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისგან ფულადი ჯილდოთი, საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

დღის კულმინაცია კი ანსამბლ „ქართული ხმების“ გალა კონცერტი იყო. მათ სცენაზე ცნობილი ჰიტები ააჟღერეს და სამტრედიელებს კიდევ ერთი სასიამოვნო საღამო უსახსოვრეს.

ფრაქციის წევრებმა მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ზემოაღნიშნული პროგრამა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი